

Художественный фильм

# ПЕРЕД РАССВЕТОМ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ფილმი

# გათენების წინ



რ. ჩეიშვილი
ყ. მგელაძე
ფ. ვისოცკი
დ. ლურსმანაშვილი
ნ. ვაწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სცენარის ავტორი
რ. ჩეიშვილი
დამდგმელი რეჟისორი
ყ. მგელაძე
ოპერატორი
ფ. ვისოცკი
მხატვარი
დ. ლურსმანაშვილი
კომპოზიტორი
ნ. ვაწაძე

როლებში:

გ. ფირცხალავა,
თ. არჩვაძე,
გ. ნარიმანაშვილი,
მ. ცხოვრებოვა





კინოსტუდია „ქართული ფილმი" წარმოება. 1971—1972 წ.



ქართულ მატიანეს შემოუნახავს ბევრი სახელი, ვინც თავი ზვარაკად მიუტანა მშობელ ქვეყანას. მათი საქმე დავიწყებად აროდეს თქმულა...

ოქტომბრის რევოლუცია მძაფრ ქარტეხილად მოედო ქვეყნიერებას და ცარიზმის საბრძანისიც გაცამტვერდა. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მენშევიკურმა პარტიამ საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა; თუმცაღა, სახელმწიფოს მართვა არ ძალუძდა და ხან საფრანგეთისკენ ეპყრა დახმარების მთხოვნელი თვალი და ხელი, ხანაც ინგლისსა და გერმანიას ემდაბლებოდა.

ქვეყანას არაქათი გამოეცალა. ბარაქადალეული ხალხის ბოღმა მძაფრდებოდა. აჯანყებებმა იფეთქა საქართველოს ცალკეულ რაიონებში. ლეჩხუმის გლეხობას სათავეში რევოლუციონერი-ბოლშევიკი თადეოზ მორჩაძე ჩაუდგა. მის კვალს დაადგნენ თავისუფლების და სიკეთის მაძიებელი ადამიანები, რადგან იცოდნენ მათ ფასი იმისა, რასაც აკეთებდნენ, იცოდნენ ფასი სიცოცხლისა და სიკვდილის, ფასი სისხლისა და ხსნის...

ჩვენს ხალხს არ ჩვევია დავიწყება ადამიანისა. ისტორია ყველას წილხვედრს მიაგებს ხოლმე. ხსოვნისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია ჭაბუკად დარჩენილი ვაჟკაცის სახელს. ჯერ კიდევ ორმოციოდე წლის წინ ცნობილმა ქართველმა მწერალმა, რაჟდენ გვეტაძემ თავის მოთხრობაში „ქიაკოკონა", საოცარი სიფაქიზით, სიყვარულით და ტკივილით მოგვითხრო თადეოზ მორჩაძის ცხოვრების ამბავი.

ამჯერად კი კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი ყარამან მგელაძე (დამდგმელი ფილმებისა — „ბურთი და მოედანი", „ცისკრის ზარები", „სინათლე ჩვენს ფანჯრებში") სასიამოვნო საჩუქარს უმზადებს მაყურებელს; მწერალ რევაზ ჭეიშვილის სცენარის მიხედვით (ავტორია ფილმების „ზღვის ბილიკი", „ჩემი მეგობარი ნოდარი", „ბზიანეთი" სცენარებისა) გადაიღო ფერადი, ფართოეკრანიანი ფილმი „გათენების წინ", რომელიც ლეჩხუმელი გლეხების აჯანყებასა და თადეოზ მორჩაძეზე მოგვითხრობს. თადეოზ მორჩაძეს ჩინებულად ასახიერებს ნიჭიერი მსახიობი გურამ ფირცხალავა („ჯვარცმული კუნძული" — გუჯა და „მოლოდინი" — ნუგზარი). მსახიობისთვის მორჩაძის სახე პირველი დიდი კინოროლია.

— ჩემი გმირი ძლიერი პიროვნებაა, ხალხის ერთგული, უაღრესად მტკიცე, გამტანი, — ამბობს გ. ფირცხალავა, — იგი ფიცხია, მაგრამ ზომიერებას არასოდეს კარგავს. რაც მთავარია, ადამიანია, რომელსაც ადამიანური ნათელიც თან ახლავს და ჩრდილიც.

გურამ ფირცხალავას მშვენივრად უწევს პარტნიორობას მსახიობი მანანა ცხოვრებოვა. მისი მაწისა და ციცინო („ცისკრის ზარები" და „განგაში") უთუოდ ახსოვს კინომაყურებელს.

გარეკანის I და IV გვერდებზე — მ. ცხოვრებოვა, თ. არჩვაძე

**На 1-й и 4-й стр. обложки — М. ЦХОВРЕБОВА, Т. АРЧВАДЗЕ**

Летопись Грузии сохранила имена многих, пожертвовавших жизнью ради своей Родины. Дела их бессмертны...

Бурей пронеслась Октябрьская революция над страной. В России установилась Советская власть. Меньшевистская партия объявила Грузию независимой, но править государством была не в состоянии и, унижаясь, обращала свой просящий взор то к Франции, то к Германии, то к Англии.

...Грузия обессилена. Растет гнев народа. В разных уголках страны вспыхивают восстания. Революционер-большевик Тадеоз Морчадзе возглавляет борьбу лечхумских крестьян с меньшевиками. За ним идут те, кто борется за свободу и справедливость, кто знает цену жизни и смерти...

Нашему народу не свойственно забывать человека. История каждому воздает свое. В памяти народной навсегда осталось и имя юноши-героя Тадеоза Морчадзе. Более сорока лет назад известный грузинский писатель Ражден Гветадзе в своем рассказе «Костры горят» с удивительной достоверностью, болью и нежностью рассказал историю жизни Тадеоза Морчадзе.

Режиссер К. Мгеладзе (постановщик фильмов «Мяч и поле», «Утренние колокола», «Свет в наших окнах») готовит приятный сюрприз любителям кино: по сценарию писателя Р. Чейшвили (автор фильмов «Морская тропа», «Мой друг Нодар», «Мужской хор») он поставил цветной широкоэкранный фильм «Перед рассветом», рассказывающий о восстании лечхумских крестьян и жизни Тадеоза Морчадзе, роль которого исполняет талантливый актер Гурам Пирцхалава («Распятый остров» — Гуджа, «Ожидание» — Нугзар). Этот образ — первая большая кинороль молодого актера.

— Мой герой — сильная личность, преданная народу, — рассказывает Г. Пирцхалава. — Он вспыльчив, но чувство меры никогда не подводит его. Он мужественен и тверд, но, главное, — он человек со всеми присущими людям слабостями.

В фильме также снимались известные актеры: С. Багашвили, Т. Арчвадзе, К. Сакенделидзе, Л. Пилпани, И. Хвичия, З. Кверенчхиладзе, а также М. Цховребова.

რედაქტორი ტ. გველესიანი
მხატვარი ვ. ხმალაძე

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი
კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველო
ინფორმაციისა და რეკლამირების ბიურო
შეკვ. № 1940 ტირაჟი 20000 ფასი 10 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14